## საორგანიზაციო კომიტეტი

- გიორგი მაჩაბელი (თავმჯდომარე)
- მანანა რატიანი
- დავით ხვედელიძე
- ნატალია ინგოროყვა (მდივანი)
- მანანა ბოჭორიშვილი
- ნანა მაჭავარიანი

## სამეცნიერო კომიტეტი

- გიორგი მაჩაბელი (თავმჯდომარე)
- მანანა რატიანი
- სოფიკო ლობჟანიძე
- ნინო ლაბარტყავა
- ნესტან რატიანი
- მაია ბიწაძე
- ნინო ჭიაბრიშვილი
- ელიზბარ ელიზბარაშვილი
- ზაქარია გიუნაშვილი
- სოფო გორგოძე

## ორგანიზატორები

www.mes.gov.ge

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

www.tpdc.ge

mastsavlebeli.ge


**საკონტაქტო ინფორმაცია:**

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი: გმირ კურსანტთა ქ. 1
ტელ: 577 55 53 59
ელ-ფოსტა: jes@gmail.com

საკონტაქტო პირი: ნატალია ინგოროყვა


# „სწავლა-სწავლება უწყვეტი განათლებისთვის“

## სამეცნიერო კონფერენცია

3 ნოემბერი, 2018

*"სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი"*
*დ.გურამიშვილი*

## ძვირფასო კოლეგებო,

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საინფორმაციო საგანმანათლებლო რესურსების, ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ს და სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის „განათლების მეცნიერების“ პროგრამის ფარგლებში, 2018 წლის 3 ნოემბერს ატარებს მეორე სამეცნიერო კონფერენციას თემაზე: „სწავლა-სწავლება უწყვეტი განათლებისთვის“.

განათლების მეცნიერების მკვლევარებს ექნებათ შესაძლებლობა, კოლეგებს გაუზიარონ პირადი გამოცდილება სწავლა - სწავლების უწყვეტობის მნიშვნელობაზე განათლებაში, პროფესიულ განვითარებაში და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კონფერენციის სამუშაო ენაა ქართული.

მოხსენება შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ზეპირი და პოსტერული სახით.

კონფერენციის სტატიები გამოქვეყნდება მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში - „განათლების მეცნიერება.“ (www.jes.org.ge)

პატივისცემით
საორგანიზაციო კომიტეტი

## კონფერენციის მიზანი და ამოცანები

კონფერენციის ძირითადი მიზანია თავი მოუყაროს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და სკოლებში მიმდინარე კვლევით სამუშაოებს, საშუალება მისცეს მეცნიერ–მკვლევარებს მოახდინონ მიღწეული შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაღრმავებას.

კონფერენციაზე მეცნიერ–მკვლევარებისათვის სპეციალურ მოხსენებებს გააკეთებენ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწვეული მეცნიერები.

კონფერენციის ფორმატი ითვალისწინებს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწვეული ცნობილი მეცნიერების პლენარულ მოხსენებას, სამეცნიერო კომიტეტის მიერ შერჩეულ ზეპირ მოხსენებებსა და პოსტერულ (სტენდურ) მოხსენებებს.

კონფერენციის მონაწილე მკვლევარებს საშუალება ექნებათ მოისმინონ დარგის ცნობილი მეცნიერების პლენარული ლექცია, გაეცნონ თანამედროვე კვლევის მიმართულებებს, კვლევის მეთოდებს და დარგის განვითარების ტენდენციებს.

კონფერენციის მონაწილეთა სამეცნიერო თეზისები განთავსდება Google Scholar-ის ბაზაზი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალების მიერ პუბლიკაციის გამოქვეყნებაზე შეთავაზებას.

კონფერენციაში მონაწილეობა დაფუძნებულია მონაწილეთა პირადი ინიციატივით რეგისტრაციაზე. რეგისტრაცია იწარმოებს ონ-ლაინ რეჟიმში კონფერენციის ვებ-გვერდის მეშვეობით.

კონფერენციის შესახებ ანონსი გავრცელდება კონფერენციების ონლაინ საძიებო სისტემებით:

კონფერენციის სამუშაო პროგრამა მოცემულია კონფერენციის ვებ-გვერდზე:

მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები

## ვინ შეიძლება დაესწროს?

განათლების კვლევის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირი. მათ შორის:

- აკადემიური პერსონალი;
- მკვლევარები;
- პედაგოგები;
- საგანმანათლებლო პოლიტიკის განმახორციელებლები;
- სტუდენტები;
- განათლების ექსპერტები;
- განათლების ადმინისტრირების სპეციალისტები;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორანიზაციების წარმომადგენლები;
- საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშემწობი სტრუქტურების სპეციალისტები;

## კალენდარი

რეგისტრაცია: 30 ივნისი
მასალების წარმოდგენა: 15 აგვისტო
კონფერენცია: 3 ნოემბერი

## რეგისტრაცია

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა უნდა გაიარონ ონ–ლაინ რეგისტრაცია კონფერენციის ვებ–გვერდზე.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2017 წლის 30 ივნისი.

## პროგრამა

09:00–10:00 რეგისტრაცია
10:00–10:30 კონფერენციის გახსნა
10:30-11:00 ყავის შესვენება
11:00-13:00 პლენარული მოხსენებები
13:00–14:00 სადილი
14:00-16:00 მოხსენებები
16:00-16:30 ყავის შესვენება
16:30-17:30 სტენდური მოხსენებები
17:30-18:00 კონფერენციის დახურვა